ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3994062

ნომერი: AR1604260

თარიღი : 28.05.2018

გაცემის თარიღი : 05.06.2018

გაცნობის თარიღი : 11.06.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა, N 13ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო ჯღამაძე პ/ნ 01008010861
- თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #19, ბ.18

ორგანიზაცია:
- შპს კლინიკური მედიცის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტი კოდი: 201990694

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3974947 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 28 მაისს AR1599280 განცხადებით მომართა მოქალაქე ნინო ჯღამაძემ და მოითხოვა 2018 წლის 23 მაისის №3974947 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2018 წლის 23 მაისის №3974947 ბრძანებით №01.13.07.021.121; №01.16.01.005.279 საკადასტრი კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე (ფართობი: 2002 კვ.მ; 1567 კვ.მ. კვ.მ) საავადმყოფოს რეკონსტრუქციის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ამჟამინდელი მდგომარეობით ეს ორი საკადასტრო ერთეული გაერთიანდა, განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილ იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი: 01.13.07.021.313; ფართობი: 3569 კვ.მ.), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულის მონაცემების ცვლილების შედეგად შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი, შეცვლილია საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.
ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3974947 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს განახლებული საკადატრო მონაცემები:
საკადასტრო კოდი: 01.13.07.021.313; განცხადების ნომერი: 892018391196; მომზადების თარიღი: 10/05/2018; ფართობი: 3569 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 23 მაისის №3974947 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.